LEPL TBILISI Z.PALIASHVILI OPERA AND BALLET PROFESSIONAL STATE THEATRE
Digitally signed by LEPL TBILISI Z.PALIASHVILI OPERA AND BALLET PROFESSIONAL STATE THEATRE
Date: 2022.03.07 14:21:19 +04'00'

# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 24

ქ. თეთრიწყარო 2022 წელი

ერთის მხრივ ა.ა.ი.პ. „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი" (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის დავით ყაზახაშვილის სახით და მეორეს მხრივ სსიპ „ქ.თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი"-ს სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ბადრი მაისურაძე (შემდგომში "მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს თეატრის ბილეთების - /98300000-CPV//- შესყიდვა.

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 255 (ორას ორმოცდათხუთმეტი) ლარს.
2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების ღირებულებასა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

## 3. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

„მიმწოდებელი" ვალდებულია:
3.1. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად 11 მარტს, მიმწოდებელმა უზრუნველყოს სპექტაკლზე დასასწრები 17 (ჩვიდმეტი) ცალი, ბილეთის მიწოდება.
.„შემსყიდველი" ვალდებულია
3.2. ხელშეკლრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების შემდეგ ამ ხელშეკრულების მე-4 პუნქტით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონელის ღირებულება.
.

## 4. ანგარიშსწორება

4.1ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან" განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის ჯარიმას, სახელშეკრულებო ღირებულების 0,02% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
5.2 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
5.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან.
5.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი იხდის ჯარიმას გადაუხდელი თანხის 0.02%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურეობის გაწევის შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

## 7. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.
7.2 ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან შემსრულებლის შეცდომებსა და

დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 9. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

9.1 ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს:
– მხარეთა შეთანხმებით;
– ფორს-მაჟორული სიტუაციით;
–ხელშეკრულების ცალმხრივი დარღვევა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

## 10. ინსპექტირების პირობები

10.1 ხელშეკრულებას ინსპექტირებას უწევს ა.ა.ი.პ. „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი"-ს დირექტორი დავით ყაზახაშვილი.
10.2. შესრულებულ მომსახურეობაში გამოვლენილ ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

## 11. დავის გადაწყვეტა

11.1.წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.
11.2. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან, 2022 წლის 31 მაისის ჩათვლით.

## 3. მხარეთა იურიდიული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები

| "შემსყიდველი" | "მომწოდებელი". |
|---|---|
| ა.ა.ი.პ. „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი" | ,,ქ.თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი |
| ს/კ 430804533 | ს/კ203853954 |
| ქ. თეთრიწყარო თამარ მეფის ქ.№2 | ქ.თბილისი, რუსთაველის გამზირი N25 |
| ა/ა GE24NB0330100200165022 | ა/ა 708157499 |
| სახელმწიფო ხაზინა | სახელმწიფო ხაზინა |
| TRESGE22 | TRESGE22 |

## 14. მხარეთა ხელმოწერები

ააიპ „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრის”დირექტორი: დავით ყაზახაშვილი

N(N)LE TETRITSKARO CULTURE AND SPORT CENTER

Подписано цифровой подписью: N(N)LE TETRITSKARO CULTURE AND SPORT CENTER
Дата: 2022.03.07 14:33:26 +04'00'

სსიპ ქ.თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული

სახელმწიფო თეატრის სამხატვრო

ხელმძღვანელი და დირექტორის

მოვალეობის შემსრულებელი:

ბადრი მაისურაძე